ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**ფსიქოლოგია**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

12 ნოემბერი 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19 ნოემბერი 2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0707 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ავტორიზებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ლილი ხეჩუაშვილი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ნანა ზურდული** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **თამუნა იმნაძე** (სტუდენტი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი.
  - პროგრამა შედგება რამდენიმე ნაწილისგან, ესენია: საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები (42 კრედიტი), სპეციალობის საგნები (მათ შორის, სავალდებულო 120 და არჩევითი 36 კრედიტი, სულ 156 კრედიტი). დარჩენილი 42 კრედიტს სტუდენტი ავსებს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და/ან თავისუფალი არჩევითი კურსებით, ან დამატებითი სპეციალობის კურსებით, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან.
  - წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
  - წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, უპირატესად, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტები დასახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა მიმდინარე წლის 12 ნოემბერს.
  - ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხემძღვანელს, თვითშეფასების ჯგუფს, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მიმდინარე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ელექტრონული ბაზა, ფსიქოლოგიური ლაბორატორია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

— წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, IV და V სტანდარტებთან და მეტწილ შესაბამისობაშია II და III სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

შემუშავდა რეკომენდაციების რამდენიმე ჯგუფი, რომელიც შეეხება:

— ცალკეული კურსების შინაარსს;

— საკითხავ მასალას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

— საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ცალკე არჩევითი კურსის შეთავაზება, რომელიც მოიცავს ფუნქციური წერის ელემენტებს, საჯარო გამოსვლების ტექნიკებისა და ა. შ. სწავლებას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

— წარმოდგენილმა პროგრამამ 2013 წელს გაიარა აკრედიტაცია და მას შემდეგ ხორციელდება. შესაბამისად, პროგრამას ჰყავს არაერთი თაობის კურსდამთავრებული. დოკუმენტების შესწავლამ და ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს სრულიად გააზრებული და გათვალისწინებული აქვთ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მიცემული რეკომენდაციები -- შეტანილია შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. ასევე, დახვეწილია პროგრამა სტუდენტებისგან, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები — საერთაშორისო და ეროვნულ საზოგადოებაში არსებული ფსიქოლოგიური ცოდნის მიღების ხელშეწყობა, სოციალურ-ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება, სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კურსდამთავრებულებისათვის ბაზისური კონსულტირების განხორციელებისა და სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და ორგანიზაციებში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება — შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და ტრადიციების განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზებას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ცოდნის გადაცემასა და განათლების გავრცელებას, აკადემიური თავისუფლების დაცვას, სოციალურ მეცნიერებებში თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდების მიხედვით კვლევა-სწავლებასა და საერთაშორისო თავისუფალ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებასთან თანამშრომლობას/აქტიური წევრობას.<br>როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე — აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა, პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც ამ ორის ურთიერთშესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შედეგად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• უნივერსიტეტის მისია;<br>• ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები;<br>• თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ დაწესებულებებთან. |
| **რეკომენდაციები:** -- |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**<br><br>წარმოდგენილმა პროგრამამ 2013 წელს გაიარა აკრედიტაცია და უწყვეტად ხორციელდება. ამ ხუთწლიან პერიოდში, ფაქტობრივად, გათვალისწინებულ იქნა წინა დასკვნაში შეთავაზებული რეკომენდაციები და პროგრამა მნიშვნელოვნად დაიხვეწა. |
| **შეფასება**<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში დეტალურად არის აღწერილი ყველა ის თეორიული ცოდნა, უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს დასაქმების სფეროების მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.<br>როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე -- თითოეული კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი. ასევე, ნათლად და დეტალიზებულად არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება.<br><br>სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად უნივერსიტეტში (და, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაშიც) შემუშავებულია პირდაპირი (წერითი და ზეპირი გამოცდა, გამოკითხვა და პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაო, პროექტი და ა. შ.) და არაპირდაპირი (დამსაქმებლების გამოკითხვა, კურიკულუმის რუკის ანალიზი, სტუდენტების გამოკითხვა და ა. შ.) შეფასების მეთოდოლოგია. ასევე, გაწერილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. |

პროგრამის სწავლის შედეგების სისტემა, რომლის ხორციელდება პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასება, ასახულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში, რომლითაც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნით განსაზღვრული კომპეტენციების ფორმირება მხოლოდ პროგრამის ცალკეული კომპონენტების (მოდული, სასწავლო კურსი) სწავლის შედეგებით ხორციელდება. რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება ხორციელდება მთელი რიგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებით, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილის შედგენა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისა და მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარების შემდეგ ხდება სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის გზების გადახედვა და პროგრამის შესაბამისად მოდიფიცირება არსებული რეგულაციების ფარგლებში.

კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, მაგალითად, რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილ პროგრამაში ჩართულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, 18 კრედიტს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად განსაზღვროს, როგორ გამოიყენებს არჩევითი საგნების, ან დამატებითი სპეციალობისათვის განკუთვნილ კრედიტებს. მას აქვს შესაძლებლობა, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ასევე, მისთვის საინტერესო მომიჯნავე დარგების სასწავლო კურსებით გაიღრმავოს ცოდნა ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებით;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობს;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების მიღების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები: --**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --**

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის მოხვედრის რამდენიმე გზა და შესაბამისი დაშვების წინაპირობები არსებობს: (ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს, რომელთაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხებიან კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სქემა საშუალებას იძლევა, რომ ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი არჩევითი საგნის მიმართ უსდ-ს არ გააჩნია დამატებითი მოთხოვნები. (ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვას შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის" შესაბამისად; (გ) მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 |

თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" შესაბამისად და (დ) შიდა მობილობის შემთხვევაში პროგრამაზე დაიშვებიან სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებსა და პროცედურებს. აღნიშნული ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.sangu.edu.ge.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვება განსაკუთრებულ და/ან დამატებით წინაპირობებს არ ითვალისწინებს და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამრიგად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირების პროგრამაში ჩართვას, რაც სწავლის შედეგების მიღწევის მიზანს ემსახურება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უსდ-ის ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge

**რეკომენდაციები: --**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველია უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული გეგმის მიზნებითა და ამოცანებით განპირობებული შრომის ბაზრის მოთხოვნა და სოციალური საჭიროება აკადემიურად მიმზიდველ საგანმანათლებლო პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა რამდენიმე ეტაპს მოიცავს და აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა ყველა ეტაპი.

პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი (4 წელი, 240 კრედიტი) და შედგება რამდენიმე ნაწილისგან: საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ბლოკი (42 კრედიტი), უცხო ენის სავალდებულო მოდული (30 კრედიტი), სპეციალობის სასწავლო კურსების ბლოკი (მათ შორის, 120 სავალდებულო და 18 არჩევითი კრედიტი, სულ 138 კრედიტი). სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და/ან თავისუფალი არჩევითი კურსებით ან აირჩიოს დამატებითი (minor) სპეციალობა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია: ზოგად საუნივერსიტეტო და პროფესიის ბაზისურ სავალდებულო საგნებს მოსდევს შედარებით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ამა თუ იმ მიმართულებით დარგში ჩაღრმავების საშუალებას აძლევენ სტუდენტს. ამასთან, შინაარსი და სტრუქტურა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხი (კოდი 0707), რომელიც შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მასში აღწერილ სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები: --**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --**

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები გაერთიანებულებია ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების მოდულში. ყველა ბლოკისათვის (სავალდებულო, არჩევითი) განსაზღვრულია კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც ის ემსახურება. თითქმის ყველა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, მათი შინაარსები და გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა კი -- კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა, ზოგიერთი კურსის სწავლის შედეგები და შინაარსი დასახვეწი, გარკვეული თვალსაზრისით, გადასალაგებელი და მეტად არის შესაბამისობაში მოსაყვანი პროგრამის სწავლის შედეგებთან.<br>რაც შეეხება სასწავლო მასალას, მართალია, თითოეული კურსის ძირითადი და დამატებითი საკითხავი მასალის ჩამონათვალში არაერთი წყაროა მითითებული და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებიც მდიდარია როგორც ბეჭდური, ისე -- ელექტრონული მასალებით (ადგილზე და სამეცნიერო პუბლიკაციების ბაზებში, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი ორიგინალური სახელმძღვანელოებით), საკითხავი ლიტერატურა, გარკვეულწილად, მაინც გამოწვევად რჩება წარმოდგენილ პროგრამაში ჩართული კურსების ნაწილისათვის.<br>ყოველივე ზემოთ თქმულმა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების საფუძველი შექმნა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;<br>• ცალკეული კურსების სილაბუსები;<br>• აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა;<br>• ბიბლიოთეკისა და არსებული რესურსების დათვალიერება და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| **რეკომენდაციები:**<br>1. **ცალკეული კურსების შინაარსი.** პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი კურსის შინაარსი დასახვეწი ან გასამარტივებელია. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები ცალკეულ კურსებთან მიმართებაში.<br>1.1. **აკადემიური წერა და საოფისე ტექნოლოგიები.** ამ კურსის ფარგლებში სტუდენტებს, ფაქტობრივად, სრულიად განსხვავებულ შინაარსის, მიზნების, აქტივობებისა და შედეგების მქონე სამი კურსის, აკადემიური წერის, |

ფუნქციური წერისა და საოფისე ტექნოლოგიების გამოყენების, კომბინაცია შეეთავაზებათ ერთსემესტრიანი (6 კრედიტი) კურსის სახით. ასე მაგალითად, პირველივე კვირას განიხილება ისეთი განსხვავებული საკითხები, როგორიცაა არგუმენტირებული ესე, არსებით სახელთა მართლწერა, სამოტივაციო წერილის დაწერა, ვორდის დოკუმენტში აბზაცების დაფორმატება, ტაბ[illegible]ია, გადანომვრა. აღნიშნული საკითხებიდან პირველი აკადემიური წერის სა[illegible]ა, მეორე -- ქართული გრამატიკის, მესამე -- ფუნქციური წერის და ბ[illegible] -- საოფისე ტექნოლოგიების.

ვინაიდან აღნიშნული კურსი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშა[illegible]ეა ორიენტირებული, პრაქტიკულად შეუძლებელია ერთსემესტრიანი [illegible]ის ფარგლებში შესაძლებელი იყოს ამდენად განსხვავებული საკი[illegible]ის ხარისხიანად და პრაქტიკულად სწავლება.

გარდა ამისა, კურსის ფარგლებში შეთავაზებულია ისეთი საკ[illegible], როგორიცაა CV-ის შექმნა, სამოტივაციო წერილის დაწერა, ბლოგის [illegible], საჯარო გამოსვლა, ზეპირი პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება. ა[illegible]ი დასახელებული საკითხი არ განიხილება აკადემიური წერის კონტექს[illegible] და წარმოადგენს ფუნქციური წერის და/ან ზეპირი კომუნიკაციის თემებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კურსი საუნივერსიტეტოა და მხოლოდ მ[illegible]ი პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება, ყოველივე ზემოთ თქ[illegible]ან გამომდინარე, რეკომენდებულია აკადემიური წერისა და [illegible]ე ტექნოლოგიების განცალკევებული კურსების შეთავაზება. [illegible]ან, უკანასკნელის არჩევითი სახით. გარდა ამისა, საჭიროების/მოთ[illegible]ის შემთხვევაში რეკომენდებულია ფუნქციური წერის და/ან ზეპირი პრო[illegible]ი კომუნიკაციის არჩევითი კურსის მომზადება და შეთავაზება. ეს შეს[illegible]ა გაკეთდეს ურთიერთშემავსებელი, 3-3 კრედიტიანი კურსების სახით.

1.2. **განვითარების ფსიქოლოგია.** განვითარების ფსიქოლოგიის კურსი, კოგნ[illegible]ი, სოციალური და პიროვნების ფსიქოლოგიასთან ერთად, ფსიქ[illegible]ის ბაკალავრის ბაზისურ კომპეტენციას ქმნის, განსაკუთრებით თან[illegible]ე ფსიქოლოგიის კონტექსტში, როდესაც თითოეული ფენომენი, ფუნ[illegible]ე მოვლენა ადამიანის ცხოვრებასა და ფუნქციონირებაში სწორედ განვით[illegible]ის ჭრილში განიხილება. შესაბამისად, აღნიშნული კურსი უნდა იძლ[illegible]ს ბაზისურ და მრავალმხრივ ცოდნას ადამიანის ფიზიკური, კოგ[illegible], ემოციური, მორალური და სოციალური განვითარების შესა[illegible]ი ცხოვრების განმავლობაში, რაც მოიცავს პერიოდს დაბადებამდე/და[illegible]ნ ვიდრე მოხუცებულობამდე და გარდაცვალებამდე.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსი მეტად მრავალფ[illegible]ნ, საინტერესო და სიღრმისეულ საკითხებს მოიცავს ადამიანის ონტოგ[illegible]ი თუ ფილოგენეზური განვითარების შესახებ, თუმცა არ წარმოადგენს [illegible]რ კურსს, რომელიც საჭიროა საბაკალავრო დონეზე ფსიქოლოგებ[illegible]ს. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის (მოდიფიცირ[illegible]ი

სახელწოდებით) არჩევით კურსებში გადატანა და ადამიანის განვითარების ფსიქოლოგიის ახალი კურსის/კურსების (ერთ- ან ორსემესტრიანი) შეთავაზება სტუდენტებისათვის.

1.3. **კოგნიტური ფსიქოლოგია.** ფსიქოლოგის ბაკალავრის ბაზისური კომპეტენციების შემუშავება აუცილებლობით მოიცავს (მით [illegible], თანამედროვე ნეირომეცნიერების ეპოქაში) ცოდნას ადამიანის კოგნიტური ფუნქციონირების ძირითადი კანონზომიერებების შესახებ, რასაც საბაკალავრო პროგრამაში კოგნიტური ფსიქოლოგიის კურსი (ან კურსები) უნდა უზრუნველყოფდნენ. აღნიშნული კურსი არ არის წარმოდგენილი [illegible] პროგრამაში, თუმცა საკითხები, ნაწილობრივ იფარება კურსით „[illegible] ფსიქოლოგია", რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულწილად, [illegible] „ფსიქოლოგიის საფუძვლების" ნაწილს.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ უკვე მიმდინარეობს მსჯელობა ზოგადი ფსიქოლოგიის კურსის კოგნიტური ფსიქოლოგიის [illegible] გადაკეთების შესახებ.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში კოგნიტური ფსიქოლოგიის კურსის ჩართვა (6 ან 12 კრედიტის მოცულობით ანუ ერთ- ან ორსემესტრიანი კურსის შემუშავება).

2. **ცალკეული კურსების შინაარსების დუბლირება.** პროგრამის ფარგლებში [illegible] რიგი კურსებისა, რომელთა შინაარსები ნაწილობრივ მაინც ფარავენ ერთმანეთს, კერძოდ:

2.1. **ზოგადი ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიის საფუძვლები.** ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი სავალდებულო კურსების ნუსხაშია მოცემული [illegible] ფსიქოლოგიის ისეთ ბაზისურ საკითხებს, როგორიცაა ფსიქოლოგიის [illegible] და ამოცანები, კვლევის მეთოდები, ფსიქიკური ფუნქციები (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება), ემოციები, ნებელობა და ა. შ. ანალოგიური საკითხებია წარმოდგენილი ასევე სავალდებულო კურსების ჩამონათვალში ვხვდებით ფსიქოლოგიის საფუძვლებს (რომლის წინაპირობას [illegible] ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი) და მის ფარგლებში სტუდენტები [illegible] საკითხებს, როგორიცაა ფსიქოლოგიის არსი და მიმართულებები, კვლევის მეთოდები, ფსიქიკური ფუნქციები (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება), ქცევა, ემოციები, მოტივაცია და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ორი კურსის საკითხავ მასალაში განსხვავებული წყაროებია მითითებული (უზნაძე, 1998 და ნათაძე, 1986 პირველ შემთხვევაში და ახალაშვილი, 2016, ზიმბარდო & გერიგი, 2009), კურსების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად ფარავს ერთმანეთს. ამასთან, ფსიქოლოგიის საფუძვლების კურსი გაცილებით ახალ, თანამედროვე და მრავალფეროვან მასალას იყენებს, ვიდრე ზოგადი ფსიქოლოგია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ზოგადი ფსიქოლოგიის კურსის ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსების ჩამონათვალიდან ამოღება შინაარსის დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

2.2. **განვითარების ფსიქოლოგია და განწყობის ფსიქოლოგია.** სტუდენტებს სავალდებულო კურსების სახით შეეთავაზებათ ორი კურსი განწყობის ფსიქოლოგიაში, რაც ამომწურავად და მრავალმხრივ ფარავს განწყობის ფსიქოლოგიის მირითად საკითხებს. ამასთან, განვითარების ფსიქოლოგიის მიზნებში ვკითხულობთ: „...გაეცნოს განწყობის ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს ცნებებს (განწყობა, ფუნქციონალური ტენდენცია, მოთხოვნილება, სიტუაცია, დისპოზიცია...), რაც განწყობის ფსიქოლოგიის კურსის შინაარსის ნაწილის დუბლირებას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სხვა კურსების შინაარსების დუბლირების თავიდან ასარიდებლად, განვითარების ფსიქოლოგიის შინაარსის მოდიფიცირება აღნიშნული მიმართულებით.

2.3. **კვლევითი ნაშრომი და საბაკალავრო ნაშრომი.** პროგრამის სავალდებულო არჩევითი კურსების ბლოკში წარმოდგენილია ორი კურსი: „კვლევითი ნაშრომი" (6 კრედიტი) და „საბაკალავრო ნაშრომი" (6 კრედიტი), რომელთაგან სტუდენტს ერთ-ერთის აუცილებლად არჩევა მოეთხოვება.

როგორც კურსების სილაბუსებიდან, ისე აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, ამ ორ კურსს შორის ერთადერთ განსხვავებას საბოლოო პროდუქტის -- შესრულებული ემპირიული კვლევის ანგარიშის -- წარდგენის ფორმატი ქმნის. ერთ შემთხვევაში ზეპირი პრეზენტაცია იმართება ჯგუფში და კურსის წამყვანი პედაგოგის თანდასწრებით, რომელი აფასებს კიდეც ნაშრომს. რაც შეეხება მეორე კურსის შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომის არჩევისას სტუდენტს უწევს (ა) რეცენზენტის დადებითი შეფასების მოპოვება და (ბ) ნაშრომის ზეპირი დაცვა კომისიის წინაშე, რომელიც აფასებს კიდეც მას. თუმცა, ორივე შემთხვევაში სტუდენტი გაწეულ სამუშაოში იღებს 6 კრედიტს.

ვიზიტის მსვლელობისას აღინიშნა, რომ ასეთი არჩევანის შეთავაზების საფუძველს სტუდენტების უნარი -- ზეპირად, კომისიის წინაშე წარადგინონ საკუთარი შრომის შედეგი -- წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, ითქვა, რომ სტუდენტები, ვისაც უჭირთ ზეპირი კომუნიკაცია, აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას შფოთავენ, კვლევით ნაშრომს ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო ისინი, ვისთვისაც აუდიტორიის წინაშე დგომა და საუბარი არ წარმოადგენს გამოწვევას, საბაკალავრო ნაშრომს ირჩევენ. ყოველივე ეს პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა სტუდენტზე ორიენტირებულ, მასზე მორგებულ ფორმად წარმოადგინა. ასევე, ითქვა, რომ დაახლოებით თანაბრად ნაწილდება თითოეული კურსის მსურველთა რაოდენობა.

მიუხედავად ზემოთ თქმული არგუმენტებისა, მიგვაჩნია, რომ ასეთი არჩევანი სტუდენტებს არათანაბარ პირობებში ამყოფებს და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არათანაბარი კომპეტენციებით აღჭურვავს პროგრამის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, საბაკალავრო ნაშრომი, ცხადია, რომ მეტ აქტივობასა და ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე კვლევითი პროექტი, თუმცა იგივე ოდენობის (6) კრედიტით ფასდება.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ერთ-ერთი შემაჯამებელი კურსის დატოვება პროგრამაში, რაც შექმნის თანაბარი წვდომისა და კომპეტენციების გამომუშავების პირობას. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომის დატოვების შემთხვევაში, რეკომენდებულია, რომ მისთვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს.

3. **ზოგიერთ კურსზე დაშვების წინაპირობები.** ზოგიერთი სავალდებულო კურსი წინაპირობების გარეშეა წარმოდგენილი პროგრამაში, რაც, პედაგოგების აზრით, გარკვეულ პრობლემებს ქმნის შეთავაზებული შინაარსის გაგებისა და სწავლების თვალსაზრისით, კერძოდ:

   3.1. **განვითარების ფსიქოლოგიას** არ გააჩნია დაშვების წინაპირობა, რაც [illegible] იმის არგუმენტად, რომ პედაგოგს უწევს ისეთი ბაზისური საკითხების განხილვა მოცემული კურსის ფარგლებში, როგორიცაა ფსიქიკური ფუნქციები, რომელთა შესახებ ცოდნას სტუდენტების ფსიქოლოგიის საფუძვლების სავალდებულო კურსის ფარგლებში იღებენ. ვინაიდან კურსს არ აქვს წინაპირობა, შესაძლებელია სტუდენტმა ფსიქოლოგიის საფუძვლების გავლის გარეშე აირჩიოს (მაგალითად, მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში).

   ვინაიდან განვითარების ფსიქოლოგია სპეციალობის მეორე დონის კურსია და უფრო სპეციფიკურ ცოდნას აწვდის სტუდენტებს, ვიდრე ფსიქოლოგიის საფუძვლები (I დონე), რეკომენდებულია აღნიშნულ კურსს წინაპირობად დაედოს ფსიქოლოგიის საფუძვლები, რაც, ერთი მხრივ, მოხსნის განვითარების ფსიქოლოგიის ფარგლებში დამატებითი, ბაზისური საკითხების განხილვის საჭიროებას და, მეორე მხრივ, შეარჩევს/დაუშვებს სათანადო კომპეტენციის მქონე სტუდენტებს.

   3.2. **მონაცემთა დამუშავება და ანალიზის** კურსს, ასევე, არ გააჩნია დაშვების წინაპირობა, თუმცა აღნიშნული კურსი აუცილებლობით ითვალისწინებს ბაზისური სტატისტიკის ცოდნას, რათა შესაძლებელი გახდეს [illegible] არსებული მონაცემების დამუშავებისა და გაანალიზების კომპიუტერული ტექნიკებისა და/ან პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების სწავლება.

   როგორც კურსის პედაგოგმა აღნიშნა, მას კურსის ფარგლებში განსახილველ საკითხებთან ერთად, უწევს აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ბაზისური ცნებების, მეთოდებისა და თეორიების სწავლება, რადგან სტუდენტების ნაწილს ჯერ არ აქვს „სოციალური სტატისტიკის“ კურსი გავლილი, რომელიც [illegible] სავალდებულო საგანთა ნუსხაშია მოცემული.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის კურსზე დაშვების წინაპირობად „სოციალური სტატისტიკის“ დაწესება.

4. **საკითხავი მასალა.** საკითხავ მასალასთან დაკავშირებით ორი ძირითადი საკითხი გამოიკვეთა:

   4.1. **საკითხავი მასალის ენა.** მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი კურსებისთვის შექმნილია საკითხავი მასალა კურსის წამყვანის მიერ (ე. წ. „რიდერი“), ბევრგან მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, მაგალითად, კლინიკური ფსიქოლოგიის (დამხმარე), ემოციის ფსიქოლოგია (დამხმარე), შესავალი კლინიკურ ფსიქოლოგიაში (ძირითადი). საქმე ისაა, რომ სტუდენტებს შეეთავაზებათ ინგლისური ენის 6 კურსი (30 კრედიტი ჯამში), რაც ლოგიკურს ხდის მათთვის დამატებითი ლიტერატურის (და ზოგ შემთხვევაში ძირითადისაც) სახით ინგლისურენოვანი მასალის შეთავაზებას. რაც შეეხება რუსულს, ამ ენის ცოდნა წინაპირობით არ მოეთხოვებათ სტუდენტებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია ერთ-ერთ უცხო ენად. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია რეკომენდაცია, რომ ან იმგვარად მოხდეს საკითხავი მასალის შერჩევა ამა თუ იმ კურსისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მინიმალური საჭირო კომპეტენცია მასალის წასაკითხად, კერძოდ, ან ამოღებულ იქნეს რუსულენოვანი სახელმძღვანელოები/ტექსტები და ჩანაცვლდეს ინგლისურით, ან, დროთა განმავლობაში, შეიქმნას მეტი მასალა ქართულ ენაზე.

   4.2. **საკითხავი მასალის სიახლე.** მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუშაობს ქართულენოვანი, ახალი საკითხავი მასალის შექმნაზე, მაინც დგას ახალი ლიტერატურით ზოგიერთი მიწოდებული მასალის ჩანაცვლების საჭიროება. ასე მაგალითად, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში სტუდენტებს შეეთავაზებათ 1986 და 1998 წელს გამოცემული სახელმძღვანელოები, რაც ნამდვილად ვერ წარმოადგენს უახლეს, თანამედროვე ლიტერატურას; ასევე, განვითარების ფსიქოლოგიაში (მართალია, დამხმარედ, მაგრამ) შეთავაზებულია ჩხარტიშვილის 1964 და 1974 წელს გამოცემული წიგნები, რაც თავისთავად, კლასიკას წარმოადგენს, თუმცა არასაკმარისია თანამედროვე განვითარების ფსიქოლოგიისათვის (იხ. ზემოთ რეკომენდაცია 1.2).

   ამრიგად, რეკომენდებულია მასალების გადახედვა და კვლავ განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი მასალებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ცალკე არჩევითი კურსის შეთავაზება, რომელიც მოიცავს ფუნქციური წერის ელემენტებს, საჯარო გამოსვლის ტექნიკებისა და ა. შ. სწავლებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხ --**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --** |
| **შეფასება**<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დეკლარირებულია, რომ ის უზრუნველყოფს ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვლევითი აქტივობის განხორციელებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.<br>პირველს პროგრამა აღწევს სავალდებულო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტით და ხორციელდება ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები [illegible] არიან, მიიღონ სტუდენტები პრაქტიკის გასავლელად (საბავშვო ბაღი, სკოლა, [illegible] და საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზაციები) (სწავლი შედეგი N1, პუნქტი ბ).<br>რაც შეეხება კვლევითი უნარების განვითარებას, ამისათვის პროგრამა მოიცავს კვლევის მეთოდებისა და საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის კურსს, ჯამში [illegible] მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს უწევს ემპირიული კვლევის [illegible] კი მიღებული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, ანალიტიკური და [illegible] აზროვნების ერთობლივ გამოყენებას, რაც ხელმძღვანელის მითითებების [illegible] კვლევის წარმოებისთვის საჭირო ბაზისური უნარ-ჩვევების განმტკიცებას უწყობს ხელს.<br>გარდა ამისა, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით [illegible], რომ სტუდენტები მაქსიმალურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში [illegible] მასწავლებლების მიერ წარმოებულ კვლევებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი ნაშრომის სილაბუსი;<br>• ცალკეული კურსების სილაბუსები;<br>• სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;<br>• პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება;<br>• დამსაქმებლებთან გასაუბრება;<br>• კონფერენციების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები. |

| |
|---|
| რეკომენდაციები: -- |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -- |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -- |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -- |
| შეფასება<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაში ჩართული სწავლა-სწავლების მეთოდები დეტალურად არის აღწერილი როგორც პროგრამაში, ისე -- ცალკეულ სილაბუსებში და წვრილად აღწერს თითოეული მეთოდის სპეციფიკასა და დანიშნულებას, ყველა ჩამოთვლილი მეთოდი შეესაბამება სწავლების საფეხურს, თუმცა დასახვეწია მათი კურსების შინაარსისადმი და სწავლის შედეგებისადმი შესაბამისობა. კერძოდ, პრაქტიკულად ყველა წარმოდგენილ სილაბუსში მოცემულია სწავლების არსებული მეთოდების ჩამონათვალი თავისი განმარტებით. ამასთან, სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში განხილული საკითხების შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>• ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება. |
| რეკომენდაციები: -- |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -- |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -- |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -- |
| შეფასება<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამასა და ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი ცოდნის შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია შეფასების სისტემის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველსაყოფად და დეკლარირებულია, რომ ცვალებადობს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.<br>შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის ერთ-ერთი უზრუნველმყოფი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა წარმოადგენს, სადაც სტუდენტი ([illegible], ვისაც წვდომა აქვს შესაბამის ინფორმაციაზე) მუდმივად ხედავს საკუთარ [illegible] და მიმდინარე შეფასებას.<br>როგორც პროგრამაში, ისე -- ცალკეულ სილაბუსებში წარმოდგენილი დეტალიზებული შეფასების სისტემა რამდენიმე გაზომვადი კრიტერიუმისგან შედგება და გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას შედეგების, სუსტი და [illegible] მხარეების, განვითარების მიმართულების დასახვის შესაძლებლობების [illegible] და უზრუნველყოფს უკუკავშირს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის მდგენელების [illegible] ორიენტირებულობის საზომს წარმოადგენს.<br>სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით და [illegible] (ა) შუალედურ (60 ქულა, მათ შორის შუალედური გამოცდა 30 ქულა, სემინარების [illegible] ქულა და პრეზენტაცია 10 ქულა) და (ბ) დასკვნით შეფასებას (40 ქულა) [illegible]. შუალედური შეფასების ფორმისათვის, ასევე, თითოეული კომპონენტისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები;<br>• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>• სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.gtuni.ini.ge. |
| **რეკომენდაციები:** -- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** -- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** -- |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული [illegible] შემთხვევაში):** -- |

| შეფასება |
|---|
| ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✗ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური [illegible] გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სტუდენტი პროფილის განსაზღვრისას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და დასაქმებასთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტის [illegible] ელექტრონული სისტემის მეშვეობით იღებს. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას სტუდენტი იღებს პირადი ელფოსტასა და პაროლს. სისტემის საშუალებით სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს სასწავლო კურსებს, იღებს ინფორმაციას კრედიტებისა და შეფასების შესახებ, სემესტრის ბოლოს მონაწილეობს ამა თუ იმ კურსის შეფასებაში.<br>თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს [illegible] მონაწილეობას კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, |

აწვდის მათ ინფორმაციას კონფერენციების შესახებ, რომელიც წლის განმავ[illegible] ტარდება და სთავაზობს აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობას.

უნივერსიტეტში ახლახან შეიქმნა „სტუდენტთა დასაქმებისა და [illegible] განვითარების" სამმართველო, რომელიც სისტემატურად, ყოველდღიუ[illegible] სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას [illegible] შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან დაკავშირებით.

ინტერვიუირებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნი[illegible] ამ პროგრამის მიმართულებით უნივერსიტეტს არ აქვს გაცვლითი პრ[illegible] და, შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი დონე არ აძლევს სტუ[illegible] დროს მიღებული ცოდნის გამყარების საშუალებას საზღვარგარეთ სწავლის [illegible] თვალსაზრისით, თუმცა აშკარაა ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერები[illegible] მზაობა უნივერსიტეტის მხრიდან.

სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად [illegible] აკადემიური პერსონალის მუშაობის გრაფიკი ითვალისწინებს სტუდენტ[illegible] შეთანხმებულ ინდივიდუალურ მუშაობასა და კომუნიკაციას როგორც [illegible] ტელეფონისა და ელ. ფოსტის გამოყენებით.

უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ ორგანიზაციებთა, როგორ[illegible] ნაბიჯთან", „გეშტალტთერაპიის სახლთან", ანტინარკოტიკულ ცენტრთან[illegible] სახელობის ფსიქოლოგიის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრსა და კერ[illegible] სკოლებთან, რომლებიც ამ პროგრამის კურსდამთავრებულების უშუალო დ[illegible] არიან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიურ და მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუ[illegible]
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის სტრატეგია;
- უნივერსიტეტში განხორციელებული ღონისძიებები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებების [illegible] განხორციელება პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციი[illegible] ასამაღლებლად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულ[illegible] შემთხვევაში): --**

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| --- |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: --** |
| წარმოდგენილი პროგრამა საბაკალავროა, შესაბამისად, ეს ნაწილი არარელევანტურია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები: --** |
| **რეკომენდაციები: --** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --** |
| შეფასება<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | x | | |

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
| --- |

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და [illegible] დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი [illegible] და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან [illegible] რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული [illegible] პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, [illegible] მოქმედ კანონმდებლობასთან და ასახულია უნივერსიტეტის შინაგანაწესში, [illegible] თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წესსა და ადმინისტრაციული [illegible] პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესი [illegible] სრულ შესაბამისობაში იმყოფება განათლების სფეროს მოქმედ კანონმდებლო[illegible]

წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს 5 აფილირებული (მათ შორის, 2 [illegible] 3 ასოცირებული პროფესორი) და 14 მოწვეული პედაგოგი. მათ [illegible] ოპტიმალურია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თვითშეფასების [illegible] წარმოდგენის დროის მდგომარეობით ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა[illegible] სტატუსის მქონე 183 სტუდენტი ირიცხება და პერსონალისა და [illegible] თანაფარდობა შეესაბამება უსდ-ის რაოდენობის განსაზღვრის წესს, [illegible] ზღვრულ რაოდენობას და ¼ -ს არ აღემატება.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა ასახავს საქმიანობის რამდენიმე [illegible] სწავლება, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის განვითარება, [illegible] პროექტებში მონაწილეობა, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში [illegible] საუნივერსიტეტო მომსახურება, სტუდენტების კონსულტირება, [illegible] აქტივობებში მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს აქვს აკადემიური [illegible] პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელშიც [illegible] სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვა. ამასთან, სქემა ადგენს პერსონალის [illegible] გათვალისწინების აუცილებლობას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებ[illegible]

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, მას სასწავლო პროცესში [illegible] მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და წარმოდგენილ პროგრამას ხელმძღვ[illegible] შემდეგ, რაც პროგრამა შეიქმნა და დაიწყო ფუნქციონირება. იგი აქტიურად [illegible] არის ჩართული პროგრამის ფორმირებაში, განვითარებაში, დახვეწასა და [illegible]

| |
|---|
| გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მომსახურ[illegible] რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერს[illegible] |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• სამუშაოს აღწერილობები;<br>• საკვალიფიკაციო მოთხოვნები;<br>• საკონკურსო მასალები;<br>• გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განცხადებები;<br>• აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მ[illegible] (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებში);<br>• აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე [illegible] ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;<br>• აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;<br>• აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები;<br>• სტუდენტებთან ინტერვიუები;<br>• ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები: --** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული [illegible] შემთხვევაში): --** |
| **შეფასება**<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული გან[illegible]** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკ[illegible] სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ა[illegible];<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალ[illegible] განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევ[illegible] განხორციელებას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამაში ჩართული აკადემიური, [illegible] და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის [illegible], კრიტერიუმები, განვითარების პროგრამის დაგეგმვის სტრატეგია და [illegible] დაწინაურება-წახალისების მექანიზმები და ფორმები.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის მუშაობის შედ[illegible] გამოიყენება მათი პროფესიული განვითარების დაგეგმვისათვის. [illegible] უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიე[illegible] რეგულარული სახე აქვს სამეცნიერო კონფერენციებს. უნივერსიტეტი [illegible] სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემის დაფინანსებასა და კონფერენ[illegible] დაბეჭდვას, აკადემიური პერსონალის სტატიების, მონოგრა[illegible] სახელმძღვანელოების გამოცემას და ასევე, სხვა ადგილობრივ და [illegible] კონფერენციებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის ნაწილობრივ დაფინანს[illegible] უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის განვითარებას ენებისა და [illegible] ტექნოლოგიების მოხმარების შესწავლის მიმართულებით, მაგალითად, [illegible] ფუნქციონირებს ინგლისური ენის შესასწავლის კურსები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის ხელმძ[illegible] და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენე[illegible]
- გამოქვეყნებული შრომები;
- კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის [illegible] მაჩვენებელი;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები: --**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულ[illegible]ამის შემთხვევაში): --**

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და [illegible] აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინ[illegible] სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალ[illegible]**

დაწესებულების მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია მოთხოვნ[illegible]-ის მფლობელობაში მყოფი ორივე სასწავლო კორპუსი აღჭურვილია მაღა[illegible] მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (კომპიუტერული კლასები, 9 ცალ[illegible] ფუნქციონირებადი „ჭკვიანი დაფა"). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პრ[illegible] და მოწყობილობების თვალსაზრისით აღჭურვილი ფსიქოლოგიის კვლევითი [illegible]რია. მთლიანობაში ყველა ის მატერიალური რესურსია გათვალისწინებული და [illegible], რაც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ შესაბამისი აღ[illegible], რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აკადემიური პროცესის [illegible] წარმართვა. არსებული კომპიუტერების რაოდენობა და მათი [illegible] უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. „ბიზნესის, კომპ[illegible] სოციალური მეცნიერებათა სკოლის პროგრამის" სტუდენტებს აქვთ წვდ[illegible] სასურველ პროგრამასთან. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მ[illegible] არსებული მაიკროსოფტის ოპერაციული სისტემები და საოფისე პაკ[illegible] ლიცენზირებულია.

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონ[illegible] მოსახერხებელია როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებ[illegible] საშუალებას იძლევა, სტუდენტი გაეცნოს ნებისმიერ სილაბუსს, შეამო[illegible] აკადემიური მოსწრება, ნახოს დავალებები და აკონტროლოს გადახდების სი[illegible] რეგისტრაცია, ცხრილების ონლაინ გენერირება და ჩვენება, ჰქონდეს [illegible] რესურსები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მატერიალურად უზრუნველყ[illegible] კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც უნივერსიტეტის აკადემიურ პ[illegible] სტუდენტებს შეუძლიათ კომპიუტერული მომსახურებითაც ისარგებლ[illegible] მომსახურებითაც. ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც ბეჭდური (წიგნების და[illegible] სახით გამოცემული) მასალები, ისე -- ელექტრონული საბიბლიოთეკო [illegible] აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორც[illegible], რომელიც, თავის მხრივ, საერთაშორისო კონსორციუმის ELFE -ის წევრია და [illegible] გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აქვს წვდომა მონაცემთა ბაზ[illegible]

აქვე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მდიდარი ელექტრონული მასალებ[illegible] წვდომისა, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, [illegible] პროგრამის სტუდენტები ნაკლებად მიმართავენ მათ აღნიშნული მასალებ[illegible] მოთხოვნით, რაც ინგლისური ენის ნაკლებად ცოდნით იქნა ახსნილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან გასაუბრება;
- თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კომპიუტერული ლაბორატორიის დათვალიერება და სადემონსტრაციო პრეზენტაცია აღნიშნული სისტემის მუშაობის შესახებ;
- დოკუმენტაცია სტუდენტთა მხარდამჭერის სერვისებთან დაკავშირებით.
- უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მისამართით: http://www.sangu.edu.ge;
- საუნივერსიტეტო პროგრამის მისამართით: http:// www.sangu.edu.ge.

**რეკომენდაციები:** --

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველი იქნებოდა, სტუდენტების წახალისება და წარმართვა სამეცნიერო პუბლიკაციების ბაზების მეტად ინტენსიურად გამოყენებისაკენ, რაც პროგრამის ფარგლებში (30 კრედიტი ჯამში) ათვისებული ინგლისური ენის პრაქტიკაში გამოყენებასაც შეუწყობდა ხელს, მათი ენობრივი და პროფესიული კომპეტენციის გაზრდასაც.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** --

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) :** --

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფსიქოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი დამაკმაყოფილებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. როგორც თვითშეფასების ფინანსურ დოკუმენტებში გაწერილი პუნქტები ადეკვატურია. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია წარმოდგენილი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების მიღების დინამიკაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ (ა) რეორგანიზაციის შედეგად უნივერსიტეტში მნიშვნელოვნად შემცირდა (23 პროგრამამდე) მიმდინარე პროგრამების რაოდენობა და (ბ) დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება (კვლევა, სტუდენტების შენატანი და უნივერსიტეტის საქმიანობაში არსებული ვენახები და გაყიდული პროდუქცია). თანხების განაწილების სქემა (ფსიქოლოგია, დანარჩენ სამ სხვა მიმართულებასთან ერთად, პრიორიტეტთა ჩამონათვალშია) და უფასო მიმართულებები სრულად უზრუნველყოფს პროგრამების, მათ შორის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის, ფინანსურ მდგრადობას. როგორც აღინიშნა, 23 სტუდენტის მიერ შემოტანილი წლიური გადასახადი სრულად ფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- სკოლის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი.

**რეკომენდაციები:** --

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

მართალია, დაწესებულება სასწავლო უნივერსიტეტია და ნაკლებად აქტიური კვლევის წარმოების ვალდებულება, პროგრამისა და მასში ჩართული სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, სამეცნიერო ხარჯების მეტად დეტალიზებულად აღწერა, რათა აკადემიურმა პერსონალმა ზუსტად იცოდეს, რისთვის შეუძლია უნივერსიტეტისთვის თანხების თხოვნა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** --

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):** --

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას, აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებად და განსავითარებლად.

| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| უნივერსიტეტში საგანანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესი თანამშრომლობითია, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალსა და, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შორის. ისინი ერთობლივად მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების შეფასების პროცესში, სწავლის შედეგების შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში.<br>ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე აქტების და საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.<br>უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასება უწყვეტი პროცესია და აღნიშნული ციკლი ხორციელდება [illegible] ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ, |

სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე. პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან კურსის განხორციელების შეფასება, რის შედეგადაც განისაზღვრება ცვლილების საჭიროება გონივრული მიდგომების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, რექტორის ბრძანებით ფორმირდება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ... წევრების კომპეტენციების შესაბამისად პასუხისმგებლობის სფეროების ... შესაბამისი მიმართულებით სამუშაოს შესრულებას, ამ მიზნით, სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციებს, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრება;
- თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები.

**რეკომენდაციები:** --

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** --

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში გამოჩნდა წარმოდგენილ პროგრამაში უკუკავშირის საფუძველზე რეალურად განხორციელებული ცვლილებები, ... არის სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან რიგი კურსებისა არჩევით სტატუსით არის წარმოდგენილი.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):** --

**შეფასება:**

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულება მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. [illegible] შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით ხორციელდება შიდა სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით [illegible] შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებით [illegible] დაწესებულება განსაზღვრავს საკუთარ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ [illegible] სტანდარტებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 19 ნოემბერს სსიპ ხარისხის [illegible] ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული [illegible] რეკო[illegible] ფაქტობრივად, იქნა გაზიარებული და პრაქტიკაში დანერგილი.

2013 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ, პროფესიული [illegible] დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა ის[illegible] შინაარსობრივი, თემატური თუ სტრუქტურული მიმართულებით [illegible] ცვლ[illegible] გამოუწვევია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლ[illegible]

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლ[illegible]ები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, [illegible] და [illegible] პერსონალთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრ[illegible]ული [illegible] შემთხვევაში): --**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორ[illegible] სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერს[illegible], სტ[illegible] კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტ[illegible] მხარ[illegible] ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუ[illegible] და ანალ[illegible] მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯ[illegible]ლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა და სტუდენტთა მონიტორინგის შეფასების [illegible] ნიზმები, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმე[illegible]

უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი პროგრამების მონი[illegible]ნგს და [illegible] შეფასებას, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა [illegible] გირებ[illegible] სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. შეფასებამ უნდ[illegible] ანოს [illegible] უწყვეტი გაუმჯობესება. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი [illegible] ანხორ[illegible] ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით [illegible] ლდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში -- პროგ[illegible] მოდი[illegible] და გაუმჯობესება.

ხელახალი აკრედიტაციის მიზნით, საგანმანათლებლო პრ[illegible] წარ[illegible] განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლ[illegible] პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილზე, რომელიც არსებითად გადამუშავებული [illegible] არის [illegible] წარმოდგენილი, გამომდინარე აკრედიტაციის პროცესის მოთხო[illegible]

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის [illegible] ლების [illegible] შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრ[illegible] ლი გ[illegible] სამსახურის უფროსთან გასაუბრება;
- დაწესებულების მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკი[illegible] შედეგ[illegible];
- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- პროგრამის შეფასების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** --

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრ[illegible] ბული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაში მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | × | | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 34 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | x | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | x | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | x | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | x | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
სახელი, გვარი, ხელმოწერა
სახელი, გვარი, ხელმოწერა
სახელი, გვარი, ხელმოწერა